

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს  
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში (ICJ), რომელიც ჰააგაში მდებარეობს, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. სარჩელი რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე ჩადენილი ეთნიკური წმენდის ფაქტებს შეეხება. სარჩელის საფუძველს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1965 წლის კონვენცია – რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD) წარმოადგენს. სარჩელში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაცია და მისი კონტროლის ქვეშ არსებული სეპარატისტული რეჟიმები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, პასუხისმგებელნი არიან რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ კონვენციის მუხლების სერიოზულ დარღვევაზე - ქართველების დისკრიმინაციაზე და ეთნიკური ნიშნით წმენდაზე. 2011 წლის აპრილში გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სარჩელის შეტანამდე ქართულ მხარეს, რუსული მხარის წინაშე, არ დაუყენებია მოლაპარაკებების დაწყების საკითხი კონკრეტულად კონვენციის დარღვეული მუხლების საფუძველით. CERD კონვენციის 22-ე მუხლი განსაზღვრავს სპეციალური მოლაპარაკებების ეტაპებს, რომლის თანახმადაც, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში სარჩელის შეტანამდე, საქართველოს აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები ჯერ რუსულ მხარესთან უნდა ეწარმოებინა, ამოეწურა პროცედურული ნაწილი და შემდეგ მიემართა სასამართლოსთვის.


- 2011 წლის აპრილიდან (სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან და რეკომენდაციების გაცემიდან ქართული მხარის მიმართ) - დღემდე, ქართულმა მხარემ რა ნაბიჯები გადადგა, რათა ამოეწურა სასამართლოს მიერ რეკომენდირებული პროცედურული ნაწილი?
- დაიწყო თუ არა საქართველომ რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებები, რა სახის იყო აღნიშნული მოლაპარაკებები და რა ეტაპზეა დღეისათვის ეს პროცესი?
- 2011-2019 წლებში გაუგზავნია თუ არა საქართველოს პროცედურების ამოსაწურად რუსულ მხარესთან დიპლომატიური ნოტა, იმ შემთხვევაში თუ კი, რამდენჯერ და რა შინაარსის ნოტები?
- რას აკეთებს ქართული მხარე აღნიშნული პროცესის წარმატებით დასასრულებლად?
- ინფორმირებულია თუ არა ქართული მხარე იმის შესახებ, რომ შესაძლოა 2021 წლის შემდგომ აღნიშნული დავა ვერ გააგრძელოს? (ICJ-ის საწესდებო დოკუმენტის 61-ე მუხლის, მე-5 პუნქტის მიხედვით, ერთი და იგივე საქმეზე, განმეორებითი განაცხადის შეტანა არ შეიძლება თუ პირველი გადაწყვეტილების მიღების დღიდან, 10 წელია გასული. შესაბამისად, საქართველოს წინა სასამართლო პროცედურების ამოწურვისთვის ვადა, მხოლოდ, 2021 წლის აპრილამდე შეიძლება ჰქონდეს).

- განხორციელდა თუ არა, ამ პერიოდში, რაიმე სახის კორესპოდენცია გაეროს მართლმსაჯულების სასამართლოსთან აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ახლად აღმოჩენილი გარემოებების თაობაზე ასეთის არსებობის შემთხვევაში?

პატივისცემით,

დავით ქუტიძე

ფაქტ-მეტრის რედაქტორი



საკონტაქტო პირი: ირინა გურგენაშვილი

ტელ: (+995) 555 92 05 49

ელ.ფოსტა: Irina\_gurgenashvili@yahoo.com